# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდიეელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი    სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი    1877—1887 წელიწადი


ტფილისი, 15 ოქტომბერი

მაინცა-და-მაინც თვალ-საჩინო არა მომხდარა-რა პოლიტიკაში, ასე რომ სადიპლომატიო საქმეთა მსვლელობა ძალიან შეფერხებული და შეჩერებულია. სხვათა შორის ბოლგარიის საქმე როდის დასრულდება, არავინ იცის, ასე რომ ყველანი ეჭვით შეჰყურებენ ევროპის მერმისსა; ყველას მოსწყინდა ლოდინი მით უფრო, რომ იგი მშვიდობიანად არ დასრულდება. ბოლგარიის საქმე იმიტომ ვახსენეთ, რომ იგი ისეთი ნასკვია პოლიტიკისა, სადაც ერთიერთმანერთზე გადაბმულან თითქმის ყველა სახელმწიფოთა ინტერესები, ე. ი. ბოლგარიის საქმე მთავარი საქმეა სხვა საქმეთა შორის. ეგ საქმე მით არის შესანიშნავი, რომ მასზეა დამოკიდებული არა მარტო ბოლგარიის მერმისი, არამედ დიდ სახელმწიფოთა და შესაძლოა მთელის ევროპის თავ-გადასავალიცა. აი, ამ გვარი საქმის მსვლელობაც შეჩერებულია და ეს ყველას მძიმე ლოდივით აწევს გულზე და სანამდე გასტანს ესეთი მდგომარეობა, ძნელად სათქმელია. ის იმაზეა დამოკიდებული, თუ როდის მორჩებიან თავიანთ საკუთარს, შინაურს საქმეებს დიდნი სახელმწიფონი, რომლებიც, როგორც უკვე გვითქვამს ჩვენს გაზეთში, ძალიან დაღონებულნი და ჩაფიქრებულნი არიან შინაურ საქმეთა გამო. თვითეულს მათგანს რომელიმე დიდი საქმე აქვს ხელში, და თუ ეს საქმე არ დააბოლოვა, ვერ გამოვა საერთო საპოლიტიკო სარბიელზე.

რასაკვირველია, ეს სახელმწიფონი, როცა თავ-თავიანთ საქმეებს მორჩებიან, ისევ ხელს წაავლებენ ბოლგარიის საქმესა და სწორედ ამ დროისათვის უნდა მოველოდეთ იმ „მოლოდინის“ დასასრულს, რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ. ყველას შეუძლებლად მიაჩნია, რომ თვით ბოლგარებმა დააბოლოვონ თავიანთი საქმე. ისიც შეუძლებელია, რომ ერთმა ან ორმა სახელმწიფომ გადასწყვიტოს ამ ნაირის სამთავროის მომავალი, რადგანაც, როგორც საქმეთა მსვლელობამ აღმოაჩინა დღემდის, სახელმწიფოები ერთიერთმანეთს არ დაუთმობენ ბოლგარიის საქმეს. მაგრამ ისიც კარგად გვესმის, საითკენ მიიზიდება ისტორია ევროპისა. ყველას შეუგნია, რომ ბოლგარიის საქმემ უნდა გადასწყვიტოს ან და ძლიერი ბეჭედი უნდა დაამჩნიოს ევროპას, იმოდენად ძლიერი, რომ ევროპა შეუდგება ახალს ხანას თვისის ისტორიისას; ეს კვალი უნდა დაემჩნიოს ოსმალეთსა, რუსეთსა, ავსტრი-ვენგრიასა, მაშასადამე გერმანიასაც და რასაკვირველია საფრანგეთსა და ინგლისსაც, და ამათზეა ხომ დამოკიდებული ევროპის ავ-კარგიანობა.

საფრანგეთი თან-და-თან დიდს სამხედრო მზადებაშია. დიდებული ერი კიდევ უფრო მტრულად შეჰყურებს ძლიერს გერმანიას, ელოდება იმ ჟამს, როცა საფრანგეთმა და გერმანიამ საბოლოვოდ უნდა გაუსწორონ ერთიერთმანერთს ანგარიში. პალატაში შეუტანიათ ახალი პროექტი იმის თაობაზე, რომ ასი მილლიონი ფრანკი გამოიღონ ჯარისა და ფლოტისათვის, აგრეთვე პროექტი შეუტანიათ იმის თაობაზედაც, რომ შედგენილ-იქმნას სამთო ჯარები. თუ ეს პროექტი დამტკიცებულ იქმნა, უეჭველია, იგი დიდს ლაპარაკსა და შფოთს გამოიწვევს ევროპაში და საკუთრივ გერმანიაში. ეს პროექტი თუ დაამტკიცეს, მაშინ გერმანია მართლა რომ დიდს საფიქრებელში უნდა ჩავარდეს. მართალია გაფარელის საქმემ დიდად გაახარა ბისმარკი, მაგრამ იმას-კი არა ეშველება-რა, რომ იმპერატორი ვილჰელმი და თვით ბისმარკი ხანს გადასულან, მხოლოდ წარსულით სცხოვრობენ და მომავალში-კი ვერა ჰხედავენ ისეთს ვისმეს, ვისაც შეეძლება ღირსეულად გაუძღვეს სახელმწიფოის მტერ-მოყვარესა. ამას ისიც დაურთეთ, რომ ტახტის მემკვიდრე ავად არის და მაშინ ადვილად მიხვდებით, რომ ბისმარკს ჭმართებს მწარე ჩაფიქრება. ერთი ძლიერი იმედი ის-და ექმნება, რომ შეიძლება საფრანგეთის სამხედრო ძალღონე დაღხრწნილი და გარყვნილი გამოდგეს. თუ ეს იმედი არ გაუცრუვდა, მაშინ ბისმარკი არ შეუშინდება საფრანგეთს და თუ ანგარიში, მოსთხოვეს უკან არ დაიხევს.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** მომავალ წლის 1 იანვრიდამ ტფილისში გამოიცემა ახალი ქართული გაზეთი „მეურნე“. დაიბეჭდება კვირაში ერთხელ. რედაქტორი და გამომცემელი გაზეთისა იქნება ბ-ნი ვასილ სულხანიშვილი. ჩვენი ქვეყანა ერთობ მხვნელ-მთესველია. ხვნა-თესვითა ვსცხოვრობთ, ეს გვიდგამს პირში სულსა. ხოლო მეურნეობის საქმეში-კი ძალიან ჩამორჩომილნი ვართ და თითქმის სრულებით არ ვადევნებთ თვალ-ყურს, რამოდენა წარმატება ეძლევა მას განათლებულ ქვეყნებში დღითი-დღე. ეს გარემოება რომ ვიქონიოთ სახეში, ცხადი იქნება ჩვენთვის, თუ რა დიდად საჭიროა ქართველობას ჰქონდეს არა მარტო გაზეთი, არამედ ჟურნალი და მთელი წიგნთ-საცავიცა შესახებ მეურნეობისა. ამიტომ წრფელის სიამოვნებით მივეგებებით გაზეთს „მეურნეს“ და ვინატრით მის წარმატებას ჩვენში. რადგანაც ბ-ნ სულხანიშვილს მიუღია სამზღვარ-გარედ სააგრონომიო ცოდნა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ გაზეთს ხელს შეუწყობს სამეურნეო საზოგადოებაც და პირველ დასაწყისშივე მკვიდრს ნიადაგზე მოაკიდებინებს ფეხსა, რომ გაზეთს არ გაუჭირდეს ბრძოლა ხალხის გულ-გრილობასა და ცნობის-უსიყვარულობასთან.

*** ამ დღეებში უკვე ჩამოვიდა ფრანგი, რწმუნებული იმ საზოგადოებისა, რომელმაც უნდა გამართოს ელექტრონის განათება სათავად-აზნაურო მიწის ბანკის ქარვასლისა. დასაწყისს მუშაობის იარაღები თან მოუტანია. დანარჩენი მაშინები ბათუმშია და დღე დღეზე იმათაც ელის.

*** სასახლის ქუჩიდამ ბანკის ქარვასლას, სხვათა შორის, კიბით შესავალიცა აქვს. ეხლა იმ კიბეს აქცევენ. მის მაგიერ იქ უნდა გააკეთონ თაღიანი შესავალი, ასე რომ ქუჩიდამ პირდაპირ გამოჩნდება თეატრის შენობა. თაღის იქით მარჯვნივა და მარცხნივ კეთდება კიბეები მეორე სართულში ასასვლელად.

სამაგიეროდ, დაიკეტება ერთ-ერთი შესავალი კარი, რის გამოც ერთი მაღაზია მიემატება ქარვასლასა. ამბობენ, რომ ეს განზრახული მაღაზია უკვე უქირავნია მსურველს 1,200 მანათად წელიწადში. ორი კიდევ სხვა მაღაზია შეემატება ქარვასლას მეორე სართულში, შტაბისკენ, შესავალ კარებს ზემოდამ. ერთი მათგანიც უკვე იქირავესო, ამბობენ, 500 მანათად წელიწადში.

*** ბ-ნი გუნია თავის სამერმისო კალენდარს ამზადებს 1 ნოემბრისათვის. საკალენდარო ცნობათა გარდა, ამბობენ, შიგ იქნება ჩართული საისტორიო წერილი მეთვრამეტე საუკუნეზე, აგრეთვე ბიოგრაფია პლატონ იოსელიანისა. ბ-ნი გუნია ჰბეჭდავს თავის კალენდარში სხვა-და-სხვა განცხადების იეფ ფასად, ასე რომ ვისაცა ჰსურს განცხადება მოაქციოს კალენდარში, უნდა ეხლავე შეუკვეთოს.

*** ქართულ სცენისათვის, სხვათა შორის, სთარგმნიან „Шутники“—ოსტროვსკისას—და „Горе-Злосчастье“—ვიქტორ კრილოვისას.

*** თუმცა შემოსავალი ჯერ სახარბიელო არა აქვს-რა ქალაქს მილის წყლიდამა, მაგრამ ეტყობა, რომ დღითი დღე მატულობს. უეჭველია, თანდისთან უფრო მაღლა აიწევს, ასე რომ მომავალ წლიდამ სარგებლობასაც მისცემს საქალაქო ხაზინას, თუ საქმე არ შეფერხდა რითიმე. გამგეობას ერთი კაი აზრი მოსვლია, რომ ტფილელთ მიაშოროს თავიდამ მეთულუხეთა დავიდარაბა. დაუქირავებია 40-მდე მუშა, რომელთაც ზურგით უნდა ჰზიდონ სახლებში ოთხ-კოკიანი „ბოჩკებით“ წყალი ანუ პატარ-პატარა „ტელეჟკებით“—რვა-კოკიანი „ბოჩკებით.“ ხალხიც მოგებაში იქნება, რადგან იეფი და სუფთა

## ფელეტონი

### მთიული სოსე

(ამბავი ხალხის ცხოვრებიდამ)

### I

მარიამობისთვის დილა იყო; ნამს უხვად მოესხურნა დედა-მიწა; ზეკარა ნელად ანძრევდა ტყეში ფოთლებსა და ნამს ძირს რხევა გაჰქონდა; ფოთლები ფიფინებდნენ, ერთმანერთს ებუტბუტებოდნენ და თითქო რაღაცა საიდუმლოს ეუბნებიან და ერიდებათ, არავინ გაიგოსო. დიდებული მნათობი ამობრწყინდა და თავისი ცხოველი შუქი მოჰფინა ცოდვილს ქვეყანასა. ტყე აზნიდა; შუქი აციმციმდა ფოთლებზე, დაიბნა იგი ტყეში და ააფერადა დილის ნამი. განათდა, გაბრწყინდა არე-მარე; ქვეყანაზე ჟრიამულია; ბუნება მორთულია პატარძალივით და ყველას ამხიარულებს. ფრინველნი ალამაზებდნენ მას თვისის გალობითა, რომელიც ყრუ მთა-ტყეში ნუგეშის ხმაა. მზემ შეიმაღლა, გააკაშკაშა მთის წვერები, მიესალამა ხავს მოკიდებულ კოშკებს პატარა-ლიახვისას, თავს შემოავლო თავისი სხივები, „ვით ქალი მამას მოხუცსა“, იმ კოშკებს, რომელიც ამ ხეობაში მოწმად დაშთენილან ძველის დავი-დარაბისა და, ვინ იცის, ძმათა შორის სისხლის ღვრისაცა.

წიფლის დიდს ტყეში მიდის გზა, რომელზედაც მხოლოდ ერთს კაცს შეუძლიან გავლა; ძირს, ბილიკს იქიდამ, უფსკრულია, სადაც მირბის, მიჰღრიალებს, როგორც მშიერი ლომი, პატარა-ლიახვი; ზვირთი ზვირთს ჰხვდება; მთელი მდინარე ქაფდება და წინწკალი ჰაერში ფრინავს; წინწკლებს სხივები მზისა ეალერსებიან და შიგ ათას ფერად ციმციმებენ.

ერთს ამ ნაირს დილით წიფლის დიდს ხეს მიჰყუდებოდა მგზავრი ვინმე. მგზავრი მოშავებდებული იჯდა, სწორედ თავს ბედი ჩამოსტიროდა, როგორც ჩვენში იტყვიან. მშვენიერი დილა, ბუნების საოცარი მორთულობა და სილამაზე, ბუნებაში მყოფთა სულიერ არსებათა მხიარულება და ტკრციალი მისთვის არ არსებობდა: მისთვის ყველა მკვდარი, ყველა დადუმებული იყო. მას მზე არ უნათებდა; დილა დილა არ იყო და მზე—მზე; მას არაფერი და არავინ არ ართობდა და არც ალხენდა. დიდხანს იჯდა ჩადუმებული; სახე გახელებულს მტაცებელს ნადირს მიუგავდა; წვერ-ულვაში დათმა ასწეწოდა და გაჰბურძგვნიყო; სახლებზე ჩოხის ნახევები ფარა-ფარად ეკიდა. მგზავრს არა ებადა-რა ღვთისაგან განაჩენი, მხოლოდ ქამარზე ეკონწიალა ხანჯლის შვილი, ლაფნის ქარქაშში გაწყობილი. ადგა, მიბრიტ-მობრიტიალდა, ცას თვალი არ გაუმართა, თითქო არა სურს მისი ხილვაო, იპოვა მჭადა-ქვა, დაბინავდა წიფლის ქვეშ, ამოიღო ხანჯლის-შვილი და ლესვა დაუწყო. სალესავს მალი-მალ ასველებდა ნამიანს ბალახზე და დანას გაჩქარებული ლესავდა. ამასობაში მზე წამოეპარა და უცბად ჩაანათა ტყეში. ძირს ტყე გაბრწყინდა, თითქოს აპრიალდა. მგზავრი შეკრთა, დანა ჰაერში დარჩა მოღერებული, ეგონა, მტერი დამეცა ვინმეო, ცალ მუხლზე წამოიჩოქა და ყელ-ყელაობით უფსკრულში გადაიხედა: ლიახვი მირბის მიჰქშუის, კლდე-ღრენი „ბანს ეუბნებიან“; გარშემო ყურთა-სმენა არ არის ლიახვისაგან. მგზავრი მიეყრდნო ისევ ხესა, დანას ფხა გაუსინჯა და ქარქაშში ჩააგო. ცოფიანივით მიავლ-მოავლო არეს თვალი, მუხლებს მკლავები მოჰხვია, კბილი ჩაჰკიდა კვირისტავს და კარგა ხანს დარჩა ასეთს მხეცურს ყოფაში. ბოლოს ხელები აუშვა, საზარლად დაიღმუვლა, იძრო დანა, ზედ დაჰხენეშა, თითქო რაღაზედაც ძრიელ გულით ეხვეწებაო, ფხა გაუსინჯა და ჩააგო.

კიდევ პირუტყული ღმუილი, ხვნეშა, გმინვა!.. და იქვე-კი, ხუთიოდექვსს ნაბიჯზედ, კუნლის ბუჩქზე შაშვი ამბობდა ზილსა ტკბილად, ლამაზად, ამოკვნესითა; მას გარს საყვარლად შემოსხდომოდნენ ბარტყები და დედას ბუმბულს უხილავდნენ. დედა-შაშვი ერთს მუხლს დაათავებდა თვისის ტკბილის ზილისასა, ჩაჰკორტნიდა შვილებსა, ჩაჰხილავდა და შემდეგ მეორეს დაიწყებდა. კვალად ღმუილი, ოხვრა-ვიში მგზავრისა! შაშვი შეკრთა, გალობა შესწყვიტა, გადინაცვლა სხვა ბუჩქზედ და შეშინებულმა გულის ქმენით კვალად მოჰრთო გულ-საკლავად თვისი ზილი. აგერ მოფრინდა პურა-ძვირი, მუქთახორა, სხვათა ფრინველთა ბარგი, ავი და შავი გუგული, სიცილი დააყარა ჩაფიქრებულს მგზავრს და გაფრინდა, რომ ტყეში სხვა გუგული არ შამოეპაროს.

ტყის ზემოთა ნაწილს მოსდევდა ამართული დიდი მთა, რომლის უმწვერვალესი ადგილები შემოსილია შულო ბალახითა; მთა მარცხნივ კლდიანია; იგი ქამთა-ვითარებისაგან გახეთქილა და შიგ ჩამოჰქუხს მთის გიჟი ნაკადული; ქვემოდ, მთის ფერდობზე, სდგას დახავსებული, წითე-

წყალი მიუვათ, და ქალაქსაც შემოსავალი მოემატება, რადგან უმეტესობა მილის-წყალს იხმარებს.

## გლეხური ლექსები

(ვეფხვის-ტყაოსნიდგან გადაკეთებული ხალხის მიერ. გაგონილი და ჩაწერილი სოფ. ხიზაბავრაში (ჯავახეთში) იაკობ ლაზარაშვილის მიერ).

— ტარიელ, დამთმე გულითა,
ქვისაგან უმაგრესითა;
მე შენ კვდარს გნახავ, დავიწვი,
როგორც აბედი კვესითა!..

—

ერთხელ ქაჯეთს მეც ვყოფილვარ,
თქვენც რომ ნახოთ, გეზარნებათ:
ოთხი კუთხით სალი კლდეა
მგზავრი არსით გაივლებ[ა]!..

—

რას ღირს ხარ, ქაჯის სეწვიოვევ,
ამ ჩემსა დედოფლობასა!..
თუ ტარიელმა შეგიტყო,
მოგიშლის ქორწილობასა!.

—

დილას ადრე მოიყვანეს
ის ლამაზი ქალი მწყრალი,
არცა სვა და არცა ჭამა,
არც არავის გასცა ხმანი!..
ან ხო იყო ანგელოზი,
ზეციდანა ჩამოსული;
ან ხო იყო ტრედის მსგავსი,
ინდოეთიდგან მოსული;
ან ჰყავდა სადმე მიჯნური,
იმაზე გულ-გაბასრული!..

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ

ბისმარკს უთქვამს, რომ ბოლგარიის საქმეს დავაბოლოვებ და ასე თუ ისე ბოლოს მოვუღებ, უკეთუ რუსეთი მოემხრობა სამთა კავშირს, კავშირს იტალია-გერმანია-ავსტრიისასაო. ეს ამბავი „Новое Время“-ს საეჭვოდ მიაჩნია. და თუნდა მართალიც იყოს, ჩვენ ბისმარკისაგან ხეირს არას უნდა მოველოდეთ, მეტადრე ეხლანდელს პირობათა შორისაო.

ან-კი რა სათქმელია და მოსაფიქრებელიაო, ამბობს გაზეთი, რომ ჩვენ მივემხროთ იმ კავშირს, რომელიც შესდგა ჩვენ დაუკითხველად.

ამას გარდა გაზეთს სხვა მოსაზრებაც მოჰყავს იმის თაობაზედ, რომ ბისმარკის წინადადება და შველა რუსეთს სრულიად არ ეჭირვება. გაზეთის აზრით, ეხლა ბოლგარია და ბოლგარიის საქმე აინუნშიაც არავის მოსდის.

განა რა საინტერესო ქვეყანაა ბოლგარია რუსეთისათვისაო? კითხულობს გაზეთი. განა ჩვენ ყურადღება-ღა უნდა მივაქციოთ ბოლგართა მტარვალს მთავრობას, იმის ჯარს, რომელიც იანიჩარების რაზმად გადაიქცა, იმათ პოლიტიკან ინტელიგენტებსა, რომელნიც სამდიდრისათვის სამშობლოსაც არა ჰზოგავენო?

გაზეთი ამტკიცებს რომ ბოლგარია ყურადღების ღირსი აღარ არისო.

დაიარეთ მთელი რუსეთი და თქვენ დარწმუნდებით, რომ ბოლგარიაზე არც არავინ ფიქრობს და არც არავის-ღა უნდა იფიქროს. ყველას აზრი ის არის, რომ ერთს წუთს თავისუფალს დროსაც ნუ შევწირავთ მაგ ქვეყანას, ერთს წვეთს სისხლსაც ნუ დავაქცევთ მისდა სასარგებლოდ და ერთს გროშსაც ნუ დავხარჯავთო.

ეხლა სრული გულ-გრილობა სუფევს ყველგან ბოლგარიის მიმართ. დაე, რაც უნდოდეთ, ისა ჰქნანო.

**

ყურადღებას აქცევს რუსეთში ბოლგარიას მარტო ჟურნალი „Вѣст. Евр.“-ი. ამ ჟურნალს გული შესტკივა ბოლგართა ქვეყნისათვის და მუდამ ისეთს წერილებსა სწერს ბოლგარიაზე, რომელსაც სიამოვნებით კითხულობენ, სხვათა შორის, ფინლიანდიაშიაც. ამაზედ იგივე გაზეთი „Новое Время“ ამბობს, რომ

ფინლიანდიის მწერალთ ძალიან მოსწონთ სტამბულოვი, პრინცი კობურგისა და გზავსნი მათნიო.

გაზეთს დასამტკიცებელი საბუთიც მოჰყავს. საბუთი უპოვია გაზ. „Helsingfors Dagblad“-ის ფურცლებზე. აი ეს საბუთიც:

ბოლგარიის ერმაო, სწერია თურმე ამ გელსინგფორსის საყოველ-დღეო გაზეთში, — დაამტკიცა არჩევნების დროს, რომ იგი ერი დიდად აფასებს თავის ღვიძლ მეთაურებსა და მოღვაწეთა. პატივსა სცემენ აგრეთვე იმ მთავარსაც, რომელიც ისე გაჭირვებით იშოვეს. მართალია, უწესოება, ჩხუბი და დავი-დარაბა ბევრი იყო არჩევანებზე, მაგრამ, სულ ქვეშ უნდა ვსთქვათ, რომ, ეტყობოდა, თითქო განგებ იყო ყველა ეს მოხერხებული, რათა ამით აზრი გაეტეხნათ მთავრობისათვის. ასეთი უწესოება, თუ გნებავთ, ყველგან შეიძლება მოხერხდეს, თუ კი ჯიბრი იქნება და სკანდალის მოხდენის მსურველნი აღმოჩნდებიან. ასე თუ ისე, უეჭველი ის არის, რომ შიშიანობის წესი გაუქმებული იყო იმ დროს და ყველას თავისუფლად შეეძლო, თავისი კენჭი, როგორც უნდოდა, ის მიეხმარნა. მთავრობას დიდი უმრავლესობა აღმოუჩნდა მომხრეო.

**

საკვირველია, რომ „Московскія Вѣдомости“, რომელიც მუდამ ჰყვირის, სარესპუბლიკო წეს-წყობილება ხალხსა ჰრყვნის და აფუჭებსო, რომელიც მუდამ ჰკმობს რესპუბლიკასაც, საპარლამენტო წესებსაც, დღეს კაფარელის საქმის გამო ამაზე არას ამბობს და კიდევაც ხელს აფარებს თითქო საფრანგეთს:

რა არის გასაკვირველიო, ამბობს გაზეთი. ასეთი ამბავი ყველა ჯარშია მოსალოდნელი. ერთს კვირაზე მეტი არ არის მას უკან, რაც პეშტში აღმოაჩინეს, რომ სამხედრო ხარისხის კაცნი ჯიბეებს ივსებდნენ სამხედრო იჯარების შემწეობითა. ამ ერთის წლის წინად პრუსიის ჯარში ამ ნაირივე ამბავი გამოსჩხრიკეს და რამდენიმე მოხელე საინტენდანტო უწყებისა დაიპატიმრეს მოქრთამეობისათვის.

მერე ახლა ვინ იყო იმათი მადრიელი, საცა ეს ამბავი ხდებოდა და ან ვინ მოუსვა თავზედ ხელი ასეთის საქციელისათვის დამნაშავეებსა. არა, საოცარია, რომ გაზეთი ხელს აფარებს იმას, რასაც თვით საფრანგეთის მწერლობა არა მალავს.

რატომ მაშინ არ დაიწყო განგაში ავსტრიისა და გერმანელების მწერლობამ, არ შედგა ყალხზე, როცა მათ ქვეყანაში მოხდა კაფარელისებური ამბავი? რატომ მაშინ არ დაიწყეს ღრიალი, რომ ჯარი და ლაშკარი შეიბღალა, სამხედრო სამინისტროში სხედან მხოლოდ მოქრთამენი და მოღალატენიო?

რა კარგი უქმნიათ, რომ ხმა არ ამოუღიათ?

**

გრევრი და მისი დასი ჩეხიაში ჰყვირიან, რომ ავსტრიის მთავრობა სდევნის სლავიანებსა, უსამართლოდ ეკიდება სლავიანთა ქვეყნებსაო. რიგერი და მისი დასი-კი ამტკიცებს, რომ არა, ავსტრიის მთავრობამ ბევრი უფლება მოგვანიჭა, ფართო თვით-მართველობა დაგვიწესა და არა გვმართებს ხელაღებით გრევრისებური ყვირილიო. ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი? ეს ძნელი სათქმელია, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ ჩეხიამ ავსტრიის მფარველობის ქვეშე დიდი წარმატება გამოიჩინა, განათლება დიდად გავრცელდა ამ ქვეყანაში, ისე რომ საერო განათლების მინისტრმა გაუჩმა გერმანიისა და რუსეთის მთავრობის მიხედვით საჭიროდ დაინახა შეემცირებინა რიცხვი გიმნაზიებისა, საიდამაც უნივერსიტეტში შედიან მოსწავლენი. ეს შემცირება იმ აზრით მოინდომა გაუჩმა, რომ შემცირდეს რიცხვი ნასწავლისა და განათლებულის პროლეტარიატისა, რომელიც ისე გამრავლდა, რომ საქმეს ვეღარა შოულობს და ამის გამო სიღარიბეშიაო.

არაო, ამბობს ამაზე რიგერი, — მაგის დამტკიცება ძნელია ბოჰემიასა, მორავიასა და სილეზიაშიო. პროლეტარიატი მართლა იმდენი არ არის ამ ქვეყნებში, რომ საშიში იყოს მისი სიმრავლეო, იმდენი არ არის, რამდენიც სხვაგანაო.

მაინცა სჩანს, რომ ჩეხიაში განათლების საქმე კარგად ყოფილა მოწყობილი. ამას გარდა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ რიგერმა ამ საგანზე წინადადება შეიტანა რეიხსრატში და საქმე გაუჭირა გაუჩსა. 8 ოქტომბერს კიდევ თვით იმპერატორი ფრანც-იოსები ინახულა. როგორც ამბობენ, გაუჩი ამ საქმის მიზეზით იძულებულია თავი დაანებოს მინისტრობას. მთავრობა სრულიად მოურიგდა ჩეხებს. ეხლა მთავრობისათვის საჭიროა, რომ უმრავლესობა სლავიანთა თავის მხარეზე ჰყავდეს, რადგან ამით უნდა კბილი მოსჭრას მადიარებისა და პოლშელების თამამობასა გარეშე პოლიტიკაშიო.

## უცხოეთი

საფრანგეთი. რესპუბლიკის პრეზიდენტის ბ-ნ გრევის სიძეს, ვილსონს დაუბეჭდია გაზეთებში წერილი, რომ ჟურნალისტების განმარტებას წარმოვადგენ იმ ხმების გამო, ვითომ მე მონაწილეობა მქონია ორდენების გაყიდვაშიო.

— ამ დღეებში დაიწყება სესია საკანონმდებლო პალატებისა. მთავარ-მინისტრი რუვიე წარსდგება მათ წინაშე და წარუდგენს ანგარიშს თავის სამინისტროს მოქმედებისას. ამბობენ, რომ კაფარელისა და ბულანჟეს საქმის გამო ძალიან საფიქრებელია რუვიეს მდგომარეობაო. ამას ზედ დაერთვის აგრეთვე ის გარემოება, რომ მონარქიელთ გული აცრუეს სამინისტროზე გრაფ პარიჟის მანიფესტის გამოგ. „Новое Время“-ს აზრით, რუვიეს სამინისტრო ვერ გაუმაგრდება სხვა-და-სხვა დასთა იერიშს და სამინისტრო კრიზისი აუცილებელი იქნებაო.

— გაზეთი „Gaulois“ გენერალ ბულანჟეს დაპატიმრების გამო ამბობს: თუ სამხედრო რიგისა და წესის დაცვის მხრივ შევხედავთ ამ საქმეს, ვერავითარს წუნს ვერ დავდებთ, ხოლო პოლიტიკურის თვალით რომ შევხედოთ, უგუნურებად უნდა ჩაითვალოსო. გაზეთის აზრით, კაფარელის საქმეში ბულანჟეს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ სამინისტრომ ისე აიძულა ეს კაცი, რომ განგებ თვალს იბრმავებს და ლაქას სცხობს მე-13 კორპუსის კომანდირსაო.

— სამხედრო მინისტრმა, გენერალმა ფერრონმა, ამ თთვის დამდეგს დაათვალიერა აღმოსავლეთის სამხედრო სიმაგრენი. არ იციან, რა არის მიზეზი, რომ ასე საჩქაროდ და უცბად დაათვალიერა მინისტრმა სიმაგრენიო.

— საფრანგეთის ნივთიერი კეთილდღეობა დღითი-დღე მატულობს. მარტო სექტემბერში საფრანგეთს უცხოეთიდამ 12 მილიონ ფრანკით ნაკლები საქონელი დასჭირებია, ვიდრე შარშან მოუნდა. თავისი საქონელი-კი 25 მილიონით მეტი გაუტანია უცხოეთში მარტო იმავე თთვეში.

---

ლის კლდის კოშკი, რომლის კედლებში არყს ამოუხეთქნია. მთის მწვერვალზე პატარა მეცხვარეს ცხვარი შეუფენია; ზოგი ცხვარი გასულა კლდეზედ; გაწოლილან არჩევბივით და დილის მზეს ეხუხებიან. მწყემსი თავს მოჰქცევია კლდეს, ჩობახს დაჰყუდებია, სდგას ზედ, როგორც უცხო რამე ქანდაკი და ცა ქუდად არ მიაჩნია და დედა-მიწა ქალამნადა; ხანდისხან მწყემსს ნისლი და ბურუსი გამოუქროლებდა. გაახვევდა ხოლმე მუხლებამდის, ისე რომ თავი-ღა უჩანდა. მზე შარავანდედივით თავზე დაადგებოდა ხოლმე. მწყემსი დასტროფოდა მაღლიდამ თვისს ცხოვარსა, რომელიც გალაღებული, გამშვენებული, განებივრებული და გალამაზებული იყო, როგორც გარემო ბუნება. ღრუბელ-ნისლიდამ გამოჰკრთოდა მწყემსის წმინდა ღიღინი, რომელიც მთებს მიჰქონდათ შორს-შორს, ეს მთებიც ელაპარაკებოდნენ, შეჰღიღინებდნენ ურთიერთსა ისეთისავე სიამოვნებით, გულწრფელობით, სიტკბოებითა, როგორც თვით იგი მწყემსი. დაბძანდებოდა ჩობახოსანი მთის წვეროკინებზედ ამაყად, დიდებულად, როგორც ერთი მეფე ვინმე. მთის შვილი სწორედ მეფეა მთისა: ყველა მას ემორჩილება; თვალ-უწვდენელი უფსკრული, რომელსაც პირი დაუღია ცხრა თავიანი მდევივით ადამიანის ჩასანთქავად, მას ვერ აშინებს, ვერ ჰზარავს; მხოლოდ ხანდისხან კლდიდამ მონატეხი ქვა ცხვარს თუ დააგორებს და ეს შემთხვევა ერთს წამს დაალონებს, თორემ მან სხვა დარდისა არ იცის-რა. მისი სიცოცხლე მუდამი ბრძოლაა ბუნებასთან და მის ძალებთან, და უამისოდაც ვერ გასძლებს.

პატარა მწყემსმა თოფი გადმოიგდო მხრიდამ, ჩაჯდა და ასკილის სტვირს მიმართა დასაკვრელად; როცა მან აატირა სტვირი, მხოლოდ მაშინ გაიბერტყა ყურები და გაახილა თოლიამ თვალები, ზედა ტუჩი აიფხლიკა და ზმუკუნს მოჰყვა. ამ დროს ანაზდეულად მწყემსს ჰაერში შხუილი შამოესმა; მწყემსმა მაშინვე თოფს აველო ხელი და ცას შეაცქერდა; თოლია წამოხტა; ცხვარი შეიქუჩა; დაუქროლა ცხვარს არწივმა და ზურგზედ ბღლავირი აადინა, მაგრამ მოტაცება კი ვერ შესძლო. მეორედ რომ დაჰქროლა, მაშინ პაწია მწყემსმა გამოულო თოფი და სისხლის-გუდა მეფეს ფრინველებისას ფეხები გააცალა. მაშინ-ღა ანება ცხვარს თავი და ყრიალ-ყრანტალით მიაშურა ცის სივრცესა.

ამ ალიაქოთის დროს წიფლის ქვეშ მჯდომმა ცოტა რამ წარბი შეიხარა; ყველა ეს რაღაც ჩუჩუნად მოესმა; ნელ-ნელა გამოერკვა, შახედა მზესა, რომელსაც ძალიან შაემაღლებინა. წამოიწია, დაიბარბაცა და მეორე ხეს მიაწყდა. გასწორდა წელში და კბილების კრაჭუნით წარმოსთქვა: — გათავებულია. რაც მამივა, უნდა გადავუხადო ჩემს დამწიოკებელსა.

ამ დროს მას ორი ცხენიანი მგზავრი მოაწყდა. წინა ცხენი შესდგა და შეიფრუტუნა უცნაურის კაცის დანახვაზე; ცხენიანსაც ეუცა სახე იმ კაცისა, თმა მაღლა აუვიდა და ღელევისაგან პირზე ეკალი აასხდა.

— ვინა ხარ, ძმაო? რას ბროტიალებ? რა გაგჭირვებია? უთხრა მოთოლვარის ხმით წინა ცხენოსანმა.

მგზავრმა ხმა არ გამოსცა; დაბროტიალდა გზის საპოვნელად და, რა ნახა, რომ სხვა გზა არა აქვს ტყესა იმ ერთად-ერთის ბილიკის მეტი, რომელზედაც ცხენიანი მოდიოდა, მიეცა ტყესა და დათვივით გლიჯინი დააწყებინა, მხოლოდ ამ სიტყვებს მოჰკრეს ყური:

— ვაჰ, ჩემო ყორანავ, ჩემო ყორანავ! მე შენზე არავის გავახარებ.

— საბრალო, უთუოდ გიჟია ვინმე, სთქვა მეორე მხედარმა; საშინელი აღეწილი და შელანძული სახე ჰქონდა, თავ-ბედი ჩამოსტიროდა და თვალები სისხლის გუდას მიუგავდა; სწორედ გიჟია.

— ეგ კაცი თითქო როგორღაც მეცნო მე, ჰაერზე შევატყე, რო სადღაც უნდა მენახოს. მხედარმა იფიქრა, იფიქრა, მაგრამ მეხსიერებამ უღალატა და ველარ ამოიცნო მისი სახე. გულში-კი ჩარჩა ეს კაცი და რაღაცამ დაუწყო ღრღნა.

### II

სოლცარს მგზავრს ტყე-ტყე ბროტიალში შემოუღამდა იმ სოფლის ახლო, სადაც იგი მიდიოდა; სოფელში არ ავიდა, მიაშურა ერთს ციხეს, რომელიც სოფლის თავში იყო ლა ამაყათ გადმოჰყურებდა პატარა ლიახვის ხეობას და თითქმის დასავლეთის ნაწილს შიდა ქართლისასა. ციხეს გარს ერტყა ასკილის და კუნლის ბუჩქები, დასავლეთ-ჩრდილოეთით რცხილისა და არყის ნორჩი ტყე იწყებოდა. ციხეში ღამურებს დაებუდნათ; აქვე დაემკვიდრნათ თავ-დიდა ბუსა და ავ-სულა ჭოტსა. იმ სადამოზე ციხის გარშემო ძე-ხორციელი არ ჭაჭანებდა; მხოლოდ ღამურები, ფრინველებში გამოწყვეტილნი და თაგვებში გამოსხლეტილნი, დაფარფატებდნენ; ქამის ქამს ბუ აუვლ-ჩაუვლიდა კუნლის ბუჩქებსა, აბლვრიალებდა ბაყაყა-თვალებსა და საკბილო მსხვერპლს დაეძებდა. ხანაც ციხის ჭოტი გულ-საკლავად გადიძახოდა ხეობაში, „როგორც თიკანი ეული“, და მის „ჭოტ-ჭოტსა“ არე-მარე ბანს აძლევდა.

— ჭკვიანი რამე უნდა იყოს ეს ბუეი, რომა დღე სულ თავ-ჩაღუნული და ჩაფიქრებული ზის; ალბად

## წვრილი ამბები

— ამ დღეებში გარდაიცვალა ერთი სახელოვანი მეცნიერი, გუსტავ კირხგოფი, გამოჩენილი ფიზიკოსი და სპექტრო ანალიზის აღმომჩენი.

— გერმანიის მთავრობას უბრძანებია, რომ დასინჯეთ ყველა წიგნთ-საცავები, რომელიც პოზნანში ერისათვის არის დაარსებულიო და, თუ რამ ისეთი წიგნი იპოვოთ, რომელშიაც ან გერმანია იყოს ცუდად მოხსენებული, ან პოზნანელებს ურჩევდეს გერმანიისაგან მოშორებას, ნუღარ დასტოვებთ ბიბლიოთეკაშიო.

— გერმანიას 100-ზე მეტი ცხენი უყიდნია ინგლისის ერთს პროვინციაში, სახელდობრ იორკშირში.

— თუმცა ჩვენი თოფები მძიმენი არიანო, ამბობენ გერმანიაში, ვიდრე ფრანგებისა, სამაგიეროდ გერმანელი ჯარის კაცი უფრო კარგა ხმარობს თოფსა, ვიდრე საფრანგეთისაო. მაინც საჭიროა, რომ შევცვალოთ ჩვენი საჭურველი იარაღი და თოფიც უფრო სუბუქის ყალიბისა დავარიგოთ ჯარშიო.

— გერმანელების ციხეებში 500-ზე მეტი ტრედი ჰყავთ. ამ ტრედების მოვალეობა ის არის, რომ ომის დროს ფოსტის მაგივრობა გასწიონ და ციხიდამ გუმბაზამდე მიიტან-მოიტანონ ხოლმე ამბები.

— კორინთის არხი საბერძნეთში 1891 წლისათვის იქნება მზად. აღრიცხული იყო 30 მილიონი ფრანკი ამ არხის ხარჯად, მაგრამ ამ საქმეს სჭირდება კიდევ 12—15 მილიონი.

— იტალიის გაზეთები ერთს დაუჯერებელს ამბავს გვაუწყებენ: ქალებმა დასწერეს თხოვნა და მიართვეს სამხედრო მინისტრსა. სთხოვენ, ნება მოგვეც ავიასხათ იარაღი და წავიდეთ ნადირ აბისიელებთან საომრადაო. მსურველნი ამისი ბევრნი თურმე არიან. მაგრამ მინისტრმა ნება არ მისცა: მეტის-მეტი ფანტაზიაო.

— ზღვაზე მოგზაურობის დროს გარდაიცვალა საკმაოდ ცნობილი მწერალი ქალი, ტომათ ინგლისელი, ლედი ბრასსი, და ზღვაშივე დაუმარხავთ.

## გასართობი

მაროკკოს სულთანი მულეი-ჰასანი ჯერ ყოჩაღად არის. მაღალ-მაღალი, შავი, გვალ-წვერა. სახის მოყვანილობა ლამაზი აქვს და გამომეტყველება გონიერული. ყველაზე დიდი საფიქრებელი საგანი მისის უდიდებულესობისა არის ჰარამხანა, სადაც უსხედს სამასი საყვარი ცოლი და საყვარლები. იქვე სხედან ათას ორასი ქვრივი სულთანის წინაპართა. შემდეგ ჰარამხანისა, სულთანს მოსწონს სამეცნიერო საქმეები, მეტადრე უყვარს გეოგრაფია და ეტნოგრაფია. ისეთის ხალისით მისდევს ამ მეცნიერებათა, რომ თავის მხატვრებს უბძანა გააკეთონ მისთვის რამდენიმე საგეოგრაფიო რუქა. მაგრამ თურმე ვაი იმ მხატვრის ტყავის ბრალი, ვინც მაროკკოს სახელმწიფოს იმოდენად არ გამოიყვანს რუქაზე, თითქო უჭირავს სამი მეოთხედი ადგილი მთელ დედა-მიწის ზურგისა. მულეი-ჰასანსა ჰგონია, რომ თვით მაჰმადის ჩამომავლობისა გარე და ამიტომ უფლება მაქვს ვიქონიო მწვანე უნაგირზე და ხელში მწვანე ქოლგა მეჭიროსო. ამ ფერის უნაგირი და ქოლგა თავის მხრით უფლებას აძლევენ სულთანს, რომ ამაყად დაჰყურებდეს სხვა მომაკვდავებს, მეტადრე ურწმუნო გიაურებს. დიდი მწუხარება უნდა გამოიაროს ევროპიელმა ელჩმა, რომ ეღირსოს სულთანის ნახვა: სამი დღე მაინც უნდა კარანტინში გაატაროს, რომ ამით გაიწმინდოს ევროპიულ სენისაგან. მერე-კი შეუძლიან თავ-მოხდილი მივიდეს მის უდიდებულესობასთან, რომელსაც გაშლილი ადგას მწვანე ქოლგა. სულთანსა აქვს ერთი კარეტა, რომელიც ინგლისის დედოფალმა უფეშქაშა. როცა ამ კარეტით მიდის სადმე, მეეტლე სირბილით მისდევს ქვეითი, რადგან „კოზლებზე“ ჯდომა შეურაცხყოფა იქნება: როგორ შეიძლება სულთანზე მაღლა იჯდეს ვინმე! გარდა ამ კარეტისა, არის კიდევ ერთი „პოვოსკა“. ამ ორის გარდა მთელ მაროკკოს სახელმწიფოში არ მოიპოვება სხვა ეტლი.

სულთანი პოლიტიკის ავან-ჩავანს ყურსაც არ ათხოვებს. ეს საქმეები იმან მიანდო ერთს უცხო ქვეყნელ მავრსა. ორი კიდევ სხვა ვეზირი ჰყავს. მთელ მაროკკოს საქმეებს ეს სამი კაცი უძღვება წინ. ისინი ყოველ ღონის-ძიებას ხმარობენ, რომ სულთანი თავიანთ ხელში ჰყავდეთ, და არ აწაწინებენ მის სიახლოვეს არც ერთს ევროპიელსა.

### საგრამატიკო ესკიზი

**ზოგიერთი მოსაზრებანი ზმნაზე და ზმნის გვამი**

(ვუძღვნი ჩვენს პატივცემულ პროფესორს, ი. ლ. ოქრომჭედლიშვილს)

feci quod potui,
faciant meljora potentes

(შემდეგი *)

ვბედავ ჩემის მოსაზრების წარმოთქმას ამ საგანზედ და ვიმედოვნებ, რომ უყურადღებოდ არ დასტოვებს მკითხველი. ჩემის აზრით, დედა-ფორმები ყველა ზმნის უღლილებისათვის არის სახელ-ზმნა და ბრძანებითის დახრის ფორმები. აი საბუთიც: ჩვენი სახელ-ზმნა, როგორც სხვა ენების უპირო დახრა (infinitivus) გამოსახავს ზმნის უმთავრესს აზრს—იდეას; შემდეგ ამ ფორმას თითქმის ყოველთვის აქვს ერთი და იგივე დაბოლოვება „ა“, რაც აადვილებს წარმოებას. ამასთან, როგორც სახელ-ზმნის ფორმაში იცვლებიან სუფიქსები, რითაც ზმნების მომეტებულ ნაწილს ეძლევა სხვა-და-სხვა რიგი მნიშვნელობა (კერ-ვ-ა, და-კერ-ებ-ა, კერ-ვ-ინ-ებ-ა...), აგრეთვე ბრძანებით დახრის ფორმაც იცვლის პრეფიქსებს იმავე სხვა-და-სხვა რიგ მნიშვნელობით (ა-კერ-ე, ი-კერ-ე, ჰ-კერ-ე...). ამისა-თვის ეს ორი ფორმა შეადგენს, ჩემის აზრით, ზმნის ორ-გვარად ცვლილების სათავეს.

ესეც შესანიშნავია, რომ ბრძანებითი დახრა, რომელიც პრეფიქსებს უნიშნავს მთელს უღლილებას, ერთის მხრით საშინლად ემზგავსება სახელ-ზმნას: როგორც ფორმა nominis actionis სახელიც არი და ზმნაც, ანუ მოკლედა ესთქვათ—ორ მნიშვნელობიანია,—სწორედ აგრეთვე ფორმა modi imperativi გამოჰსახავს როგორც ბრძანებით მიმართვას, აგრეთვე დაჭეშმარიტებით სჯასაც, მაგალითად—აწერე, იწერე, ჰსწერე—ამ სიტყვებით შეიძლიან გიბრძანო კიდეც და დაჭეშმარიტებითაც ესთქვა, რომ შენ აწერე, იწერე, ჰწერე[2]).

ახლა იკითხავთ—გვაქვს ნება ორ ფორმაზედ ავაშენოთ უღლილება? —მითომ და რატომ არა? მოიგონეთ ლათინური ენა, სადაც ოთხი ფორმა მაინც უნდა იცოდეთ; ამასთან რუსულშიაც ორ ფორმაზედ ამყარებენ ზმნების ორ უღლილებად დაყოფას და ან რომელი ახალი ენა აკმაყოფილებს უღლილებას ერთის ფორმით?...

ესთქვათ ლექსიკონში ვიპოვეთ სახელ-ზმნა „კეთება“, რომელსაც გვერდზე უზის ყველა ფორმები ბრძანებითის დახრისა „ა-კეთე, ი-კეთე,—ჰ-კეთდი“. ჩვენ პირველ დედა-ფორმას მოვაშორებთ დამაბოლოვებელ „ა“-ს და დაგვრჩება პირველი ტემა „კეთებ“. ახლა უნდა ვეცადნეთ ბრძანებით დახრის ფორმებში ვიპოვოთ მეორე ტემა.

ამისათვის ავიღოთ ორიოდე ზმნა, გადავსინჯოთ—რა გვარი ბრძანებითი დახრის ფორმები ექნებათ და, თუ შეიძლება, ამასთან ავხსნათ, რას ჰნიშნავს ეს ამდენი ბრძანებითის დახრის ფორმები?

ცხებ-ა — ა-ცხე, ი-ცხე, ჰ-ცხე
ე-ა-ცხებ, ე-ი-ცხებ, ე-ჰ-ცხებ.

ცხობა,— ა-ცხე, ი-ცხე,
ე-ა-ცხობ, ე-ი-ცხობ.

ჭამა — ჰ-ჭამე, ი-ჭამე.
ე-ჰ-ჭამ, ე-ი-ჭამ.

ჭმევა — ა-ჭამე.
ე-ა-ჭმევ.

დგმა — ა-დგი, ი-დგი, ჰ-დგი
ე-ა-დგამ, ე-ი-დგამ, ე-ჰ-დგამ.

წოვა — ჰ-წოვე, ი-წოვე
ე-ჰ-წოვ, ე-ი-წოვ.

წოვება — ა-წოვე
ე-ა-წოვებ.

ცემა — ჰ-ცემე, ი-ცემე
ე-ჰ-ცემ, ე-ი-ცემ.

ცემინება — ა-ცემინე, ი-ცემინე
ე-ა-ცემინებ, ე-ი-ცემინებ.

გინება — ა-გინე, ი-გინე
ე-ა-გინებ, ე-ი-გინებ.

გვემა — ჰ-გვემე,
ე-ჰ-გვემ.

(წარმო)-ცალიერება—წარმო-ი-ცალიერე, წარმო-ა-ცალიერე,—წარმო-ე-ი-ცალიერებ, წარმო-ე-ა-ცალიერებ.

წარ-ლება—წარ-ი-ლე
წარ-ე-ი-ლებ.

წა-სორ-სალება — წა-ი-სორსალე, წა-ა-სორსალე,—წა-ე-ი-სორსალებ, წა-ე-ა-სორსალებ.
გა-ა-პე, გა-ი-პე, გა-ჰ-პე.

გა-პობა — გა-ე-ა-პობ, გა-ე-ი-პობ, გა-ე-ჰ-პობ.

ცნობა — ა-ცან, ი-ცან, ჰ-ცან—ე-ა-ცნობ, ე-ი-ცნობ, ე-ჰ-ცნობ.

მბობა — ა-მბე (უ-ა-მბე)
ე-ა-მბობ.

წერა — ა-წერე, ი-წერე, ჰ-წერე — ე-ა-წერ, ე-ი-წერ, ე-ჰ-წერ.

წერინება—ა-წერინე, ი-წერინე,
ე-ა-წერინებ, ე-ი-წერინებ.

etc.

ეს რამდენიმე მაგალითი ცხადად გვიმტკიცებს, რომ შესანიშნავი მნიშვნელობა ჰქონია ბრძანებითის დახრის ფორმებს ზმნის მთელ უღლილებისათვის. აქედან შეგვეძლიან კანონად ჩავთვალოთ, რომ რამდენი ბრძანებით დახრის ფორმაც ექმნება ზმნას, იმდენ გვარ მნიშვნელობით იხრება მთელი ზმნაც. სხვა-და-სხვა მნიშვნელობას აძლევს ზმნას სხვა-და-სხვა პრეფიქსი ბრძანებითის დახრისა, რომელიც მაპროვნებელ „ვა“-ს შემდგომ უზის ზმნას, ე. ი. ზმნები (ვაწერ, ვაშენებ, ვანთებ..) ნიშნავენ მოქმედებას გადასულით სხვა ნივთზე-საგანზე; მეორე რიგი ზმნებისა (ვიწერ, ვიშენებ, ვინთებ) ნიშნავს, რომელი პირის სასარგებლოდ სწარმოებს მოქმედება; მესამე რიგისანი (ვჰწერ, ვჰშენდები, ვჰდგამ) გამოჰსახავენ საერთო მოქმედებას ან მდგომარეობას. ამ მესამე რიგს ეკუთვნიან როგორც ზმნები „ვი“-ის შემდგომ „ჰ“-თი, აგრეთვე ყველა აწმყოს ფორმები მდგომარეობითის ხმისა. მოიპოვება იმ გვარი ზმნებიც, რომელთაც არა აქვთ საერთო მოქმედების გამომხატველი ფორმა, ხოლოდ ბრძანებით დახრაში აქვთ არა ჩვეულებრივი ფორმა, დაბოლოებული მარცვლით „დი“, პრეფიქსად მოუძღვით იგივე „ჰ“ (ანუ „ა“).“ ეს ფორმა განსაკუთრებით გვიხსნის, რა გვარად უნდა ვაწარმოვოთ ამ შემთხვევაში მდგომარეობითის ხმის აწმყო, რომელიც საზოგადოდ სწარმოებს პირველ ტემისაგან.

შენება — ა-შენე, ი-შენე, ჰ-შენდი
ე-ა-შენებ, ე-ი-შენებ, ეჰშენდები.

და-კლება— ა-კლე, ი-კლე, ა-კლდი
ე-ა-კლებ, ე-ი-კლებ, ე-ა-კლდები.

და-ბერება—ა-ბერე, ი-ბერე, ჰ-ბერდი,
ე-ა-ბერებ, ე-ი-ბერებ, ე-ჰ-ბერდები.

*) იხ. „ივერია“ № 212.

[2]) ბროსეს მოეწონა სისტემა ჩუბინაშვილისა, რომელმაც სახელ-ზმნით ჩაურთავ ზმნები თავის ლექსიკონში, რის გამო თავის წინასიტყვაობაში აკადემიკოსი ამბობს: „j'ai pensé que cette méthode serait aussi avantageuse pour d'autres“. ამასთან თვით ჩვენი ძველი გრამატიკოსებიც ნაკლებ მნიშვნელობას არ აძლევენ სახელ-ზმნას. იოანე ფილოსოფოსი (პეტრიცი) „ვ“ ჩამატებულ სახელ-ზმნისგან აწარმოებს მდგომარეობითის ხმის აწმყოს: ჭამა-ჭამვა-ვიჭამვი.. ანტონ კათალიკოსის აზრით-კი სახელ-ზმნა არის ძირი ზმნისა (იხილე გრამ. პლ. იოსელიანისა გვ. 74. § 78.)

ავტ.

---

ამდენი უსამართლობისა და ცუდის საქმეების ცქერა მოსწყენია; ალბად თვალები სტკენია ამ ავის ქვეყნის ცქერითა. აღარ უნდა ქვეყნის დანახვა, აღარ უნდა უცქიროს ამოდენა უგვანობასა... ღამე-კი მოშორებულია ადამიანსა; ამას იმასთან საქმე არა აქვს-რა, პირ-იქით კიდევაც ეწევა ადამიანსა: ხელიკს, თაგვს და ათასს მავნე რამეს ამისაგან მოსვენება არა აქვს: აწყობს, სჭამს; კურდღელსაც კი ავ დღეს დააყენებს ხოლმე, მაგრამ ახია იმაზე: ვენახებს იმისაგან მოსვენება არა აქვთ... ამბობდა მწუხარედ თავის გუნებაში ჩვენი მგზავრი, რომელიც ბუსავით ღამე გამოცოცხლდა, გულს კაეშანი აეხადა.

— აი ეხლა მე ვის რა დავუშავე, რომ ასე სახეტიალოდ გამიხადეს საქმე; ეს სამი დღეა ნადირივით სუ ტყე-ტყე დავეხეტები. ორჯელ უსამართლოდ ამიკლეს, ორჯელ გამომირეკეს ბაკიდამ ვაინახჩრობითა, სიყრმით მონაგარი საქონელი და გამიყიდეს. შე რჯულ დავარდნილო ადამიანო, შე პირშავო და პირბნელო,—ხელიც იმათკენა და პირიცა,—რას მემართლები, პირში სულს რად მიწყვეტ, პირში ლუკმა რადა გშურს ჩემთვისა. რო მტყუანი ვიყო, კიდევ ჰო, მაგრამ ცამდის მართალს კაცსა რად მხუთავ სულსა, ჰა?.. ნეტა ჩემი სიცოცხლეც თან წაეღოთ და ის ჩემი ყორანა ზაქი-კი ჩემს არე-მარეზე დაეტოვებინათ. ჩემი ძმა იყო ყორანაი, ჩემი! ჩემი მაცხოვრებელი, ჩემი მარჯვენა ის იყო; ჩემი ყველაფერი ჩემი ყორანა იყო. ლუკმით გავზარდე, ერბოთი ვზელდი. საღამოთი რო მოვიდოდა კუდის წმაწუნითა, ყურებ გაცქვეტილი, გამალხაზებული, და დამინახავდა, ერთს ისეთ ნაირად დამყროყინებდა, რო გული სულ ფუნდრუკს დამიწყებდა ხოლმე. რა ნაირ მომეალერსებოდა, ამლოკდა, ვარდა-კუდს ჩაიწმაწნიდა, ნაზად მებუჩღებოდა ხოლმე!!.. დავდნი, დავდნი, დავდნი, კაცი აღარა ვარ... გუშინ ვიყავ ბატონთან, დავუჩოქე, ფეხ-ქვეშ დავუვარდი; სიკვდილამდის მიმსახურე, რასაც ბრალს მდებთ და რისთვისაც ჩემი ყორანა გამომიგდეთ მეთქი, ბაკიდამა, ერთი ათად დამაჭდიეთ კისერზედა-მეთქი; რკინის ჯოხს დავიჭერ, შენიჭირიმე მეთქი, რკინის ქალამანს ჩავიცომ და რითაც იქნება თქვენს ამხდურს მოვართმევ-მეთქი... გულ-ქვა კაცი რო იქნება, ის არის!... ნეტა არ მიესულიყავ, ნეტა!... იქ ჩემი ყორანა ვნახე. რო დამინახა, შემამყროყინა, გამოქანდა და კისერი მხარზე გადამდო, თვალი ამღვრეოდა და თვალის კილოზე ცრემლი ეკიდა. მოვეხვიე, დავკოცნე და გიჟივით გამოვიქეც... ოჰ ღმერთო და წმინდაო გიორგი!... რის მოვაგლახე ვიყავ, რისთვის ვიწვივიდავგეთ დედა და შვილი... მე უნდა გადავუხადო ქიტესა მოურავსა; ის არ შემხვდება, იმისი გასაგისი. ეეჰ!..

ამოიხვნეშა მგზავრმა, წამოჯდა, ხელები მოჰხვია მუხლებსა; დიდხანს იყო ჩაფიქრებული; თვალები რბიოდნენ შორს-შორს, თუმცა კი პატრონს არაფრით არ ართობდნენ. ძირს, უფსკრულში, მიჰქუხს, მოქშუის ლიხვი, ზედ დაჰნათის ვასკვლავებით მოჭედილი ცა, რომელიც ციმციმებს ლიახვის ანკარა წყალში: ორნივ თითქოს მხიარულობენ, თითქოს ერთმანერთს შეჰფრფინვიან, შეჰფიფინებენ, მგზავრი-კი გაყრუვდა, დადუმდა.

ბოლოს ხელები მოუდუნდა, მუხლებს მოეხსნა და თავის თავად გულაღმა გადაწვა. თვალი მიაჩერა ლაჟვარდა ცის კამარას; გონებას აქედიქით დაჰყავდა, მხოლოდ გულიდა იყო ერთად-ერთს საგანთან განუშორებლივ. ამ დროს მის პირდაპირ ცაზე მოსწყდა ვასკვლავი, ცეცხლის გზა გაავლო და ჰაერში ჩამოილევნთა. მგზავრი თითქო შეკრთაო, უცბად წამოჯდა, პირჯვარი გამოისახა და სთქვა გუნებაში:

— ჰეი, ჰეი! დახე ღვთის განგებასა და! ვილაცა დიდი კაცი მოკვდა ამაღამა! სწორედ დიდი ბატონი ვინმე იყო... მოშორდა ამ ოხერ წუთი სოფელსა, მაგრამ რა! ჰაი დედასა! აგერ ოცდა-ათის წლის ბიჭი ვარ... მაგრამ რაღა ბიჭი ვარ, კაცი ვარ... ამდენმა ვარამმა დამაკაცა არა და იქნება კიდევაც გადამაკაცოს... ჰო, აღარ სად შეუფიქრიანებივარ ვასკვლავის მოწყვეტასა... მახსოვს, პატარა ბიჭები გავრეკდით ხოლმე ჰალაზე კალოს ხარსა, შემოგვიღამდებოდა, დავეყრებოდით ველზე, ცას შევცქეროდით და ვირჩევდით ვასკვლავებსა: არა ეს ჩემია, არა ეს ჩემიაო, ვცილაობდით. მახსოვს, რომელიც ძალიან პრჭყვიალებდა, ყველა იმას ავირჩევდით... ხოლმე, ეჰ, რა ვასკვლავზედაც დაიბადება კაცი, ის არი! აი ეხლა ის ბდღვრიალა ვასკვლავი რო მოწყდა, ძაან ბედნიერი კაცი იქნებოდა. ჰმ! აგერ ჩემი ვასკვლავი ის იქნება აი, ოდნავ რო ბჟუტავს წიფორის მთის იქიდამა, დახე მთას როგორ ელამუნება და ჩადის. შენია, შენი, შე უბედურო სოსევ, ეგ ვასკვლავი! შენი დღეც ეგრე ელამუნება შავ-მიწას და შენც მაგისავით მალე ჩახვალ... რა ძნელია და! უნდა სისხლი დავლევარო... მერე?... მერე ვინ იცის, რომელ ცის ქვეშ მოჰყვები... იქ ჩემი აღარა იქნება-რა: არც ვასკვლავი, არც ცა, აღარც ჩემი მსხლის ხე, რომლის ქვეშაც მოვიჩრდილებდი ხოლმე; აღარც ჩემი ყორანა...

ს. მგალობლიშვილი

(დასასრული იქნება)

და-კერება—ა-კერე, ი-კერე, ჰ-კერდი. ვ-ა-კერებ, ვ-ი-კერებ,(მი)-ჰ-კერდება.

ამ გვარ ზმნებს ეკუთვნის ის ზმნაც, რომლის მეორე ტემას ვეძებთ ჩვენ.

ა-კეთე, ი-კეთე, ჰ-კეთდი, კეთება — ვ-ა-კეთებ, ვ-ი-კეთებ, ვ-ჰ-კეთდები.

რადგანაც მესამე ბრძანებითი დახრა მარცვალ „დი“-თ შეეხება იმ ფორმებს, რომელნიც საზოგადოდ სწარმოებენ პირველ ტემისაგან, მაშასადამე ფორმაც „ჰ-კეთდი“ მეორე ტემისათვის არ იქნება საჭირო. დაგვრჩება ორი ფორმა „ა-კეთე, ი-კეთე“, საიდანაც უნდა ვიძიოთ მეორე ტემა.

შემდეგ ჩვენ რომ გავსინჯოთ ეს ორი სიტყვა, როგორც ერთი ფორმა ორ მნიშვნელობით გამოთქმული, მაშინ შეგვეძლება შევაკავშიროთ ეს ორი სიტყვა ამ გვარად:

ა-კეთე+ი-კეთე=(ა+ი)-კეთე.

ამ პრეფიქსების შეერთებით მინდა ვსთქვა, რომ მეორე ფორმების წარმომადგენელი ტემა იქმნება თითონ „კეთ-ე“, რა პრეფიქსიც უნდა მიუძღოდეს წინ. ამ გვარად გამოისახება ყოველის ზმნის მეორე ტემა:

ა-წერე+ი-წერე+ჰ-წერე=(ა+ი+ჰ)წერე.
ა-დგი+ი-დგი+ჰ-დგი=(ა+ი+ჰ) დგი
ჰ-ქამე+ი-ქამე — =(ჰ+ი) ქამე.

ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ რამდენი პრეფიქსიც იქმნება ბჭკალებში მოქცეული, იმდენ გვარ მნიშვნელობით ულვლილდება მთელი ზმნა.

ორიოდე სიტყვას ვიტყვი ყველა პრეფიქსების შესახებ და შემდეგ შევუდგები სხვ-და-სხვა ფორმების წარმოებას.

ჩემის აზრით მარტო სამი პრეფიქსია (ვჰ, ვა, ვი) ჩასათვლელი მკვიდრ პრეფიქსებად, დანარჩენ პრეფიქსების შესახებ მკითხველს თავ-თავის ადგილას მოვახსენებ, რა აზრისაცა ვარ მე მათზე.

ამ სამს პრეფიქსში ან ერთი, ან ორი, აუცილებლად უნდა მოუძღოდეს ყოველ ზმნას.

კოტე დოდაშვილი

(შემდეგი იქნება)

# დეპეშა

14 ოქტომბერი

**მოსკოვი.** სასამართლო პალატას უკვე დაუსრულებია ლებედიანსკის ბანკის საქმის განხილვა. ნაფიცთ მსაჯულებს წარუდგინეს გადასაწყვეტად 103 საკითხავი. ამ მსაჯულთა რჩევამ გასტანა ხუთი საათი; დამნაშავებად იცნეს: დირექტორი იგუმნოვი, დირექტორის ამხანაგი ნ. და ა. პოპოვი და ალფეროვი, რომელთაც ჰბრალდებათ ვექსილების უკანონოდ განაღდება, მაგრამ ისე, რომ ბანკისათვის არავითარი ზარალი არ მიუციათ. ამ პირთ სასჯელი შეუმცირეს. იგუმნოვს აგრეთვე ჰბრალდება ისა, რომ ბანკის საქმეები არ გაუსინჯავს, მაგრამ ამაშიც სასჯელის შემსუბუქების ღირსად იცნეს. პალატამ დაადგინა: იგუმნოვს გამოეცხადოს საყვედური და დანარჩენთ მიეცეს შენიშვნა. 1883-ს წლის, 15-ს მაისის ყოვლად მოწყალე მანიფესტის ძალით ეს სასჯელიც ეხდებათ.

**ტურინი.** იტალიის მინისტრ-პრეზიდენტს გაუმართეს ნადიმი; მინისტრმა სთქვა, რომ ჩემსა და ბისმარკის მოლაპარაკებას ფრიდრიხსრუეში საგნად ჰქონდა მშვიდობიანობის დაცვა და ბისმარკმა წამოსვლის წინ მითხრა: თქვენ დიდი სამსახური გაუწიეთ ევროპასაო.

**პარიჟი.** გრევის სიძეს, ვილსონს, ამომრჩევლებმა ჩამოართვეს დეპუტატობა, რადგანაც მას ჰბრალდება ორდენებით ვაჭრობა.

15 ოქტომბერი

**ბერლინი.** ოფიციოზურ წყაროდამ იუწყებიან, ვითომ ხმა იმის თაობაზედ, რომ სადამოჟნო ბაჟს უმატებენ მხოლოდ რუსეთის ხორბალზე, ტყუილიაო. ამ გვარი ზომა შეუწყნარებელი რამ იქნებოდაო, რადგანაც ბაჟის შემოღების შემდეგ რუსეთის პურს ავსტრიით გაიტანდნენო. ამიტომაც განზრახვა აქვთ ბაჟი მოუმატონო არა მარტო რუსეთისაზე, არამედ ყველა ხორბალზე.

**პარიჟი.** საბიუჯეტო კომისიამ გადასწყვიტა, რომ საშიში არ არისო საფრანგეთის ელჩის თანამდებობა რომის პაპის კარზედ.

**პეტერბურგის ბირჟა, 13-ს ოქტომბ.**

ფ ა ს ე ბ ი:

| | მოთხოვნილია | [illegible] | გაყიდულია |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — › | — › | 8 96 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | 179 |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . | — › | — › | 1 30 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — › | — › | 270½ |
| — მეორისა . . . . . | — › | — › | 245¼ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | — › | — › |
| ტფილისის ბანკისა . . | — › | | |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — › | — › | — › |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . | — › | — › | — › |

**გამოსადეგი ცნობანი**

**ნიხრი**

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. . 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა . . 3 ›
› 2 › 2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 ›
› › 2— 3½ ›
› › 3 › 3
ძროხის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა . . 5 ›
მე-2 ხარისხისა . . 4 ›
მე-3 — . . . › ›
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 ›
› 2 › 6 ›
სუკი . . . 13 ›
ცხვრის ხორცი . . . 7 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. › ›
› 2 › › ›

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.**

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შევლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამ. | გადის საათ. | გადის წამ. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამ. | გადის საათ. | გადის წამ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 1› | 2 |
| კასპი. . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | სამტრედია . | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | ყვირილა . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი. . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი . . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისა . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი. . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |

## კერძო განცხადებანი

**ქართული სამკითხველო წიგნთ-საკითხავი**, რომელიც იმყოფება ბაზრის ქუჩაზე, იარმუკის ბოლოში, მე-14 №-ში, ღიაა ყოველ-დღე ნაშუადღევის 4 საათიდამ 9 საათამდე. წიგნთ-საკითხავში შესვლა და წიგნების იქვე კითხვა, თუ გარედ წაღება, შეუძლიან ყველა წოდების კაცს. წიგნის კითხვისათვის არავის არავითარი ფასი არ გამოერთმევა.

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახალი სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელო წიგნი, მიხეილ ნასიძისა:

**ქართველი მწერლები**

**II**

**დავით გურამიშვილი**

**ფასი 20 კაპ.**

ეს წიგნი შეიცავს წინასიტყვაობა დავით გურამიშვილის ბიოგრაფიას და 14 საუკეთესო ლექსს, ამოღებულს «დავითიანიდამ». ყოველივე ძნელი სიტყვას ხოლოში განმარტებულია და ისტორიულს ლექსებსაც აქვს საჭირო ტისორიული შენიშვნები. (10—10)

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ქილილა და დამანა. ვახტანგ მეექვსისა . . . . . . . . | 3 | › |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუე, საბა-სულხან ორბელიანისა . . . . . . | › | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა . . . . . . . . . . | 1 | › |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა . . . . . | 1 | › |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა . . . . . . . . . | › | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. | › | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. | › | 40 |
| მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა . | ‹ | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა . . . . . . . | › | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. . . | › | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა . . | › | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. . . . | › | 30 |
| თხზულებანი, რაფაელ ერისთვისა. | › | 1 |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. | › | 20 |
| ქართულიგამოცანები, რაფაელ ერისთვისა. . . . . . . | › | 5 |
| იგავ-არაკი რაფაელ ერისთავისა. | › | 25 |
| განკიცხული, მოჩხუბარიძისა . | › | 50 |
| ციკო, მისივე. . . . . , . | › | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა . . . . . | › | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა . . . . . . . | › | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე. . . | › | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე . . . . . . . . | › | 10 |
| ვახტანგ მეექვსე, მისივე. . . | › | 1 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. . . . | › | 15 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა. . | › | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. . . . . | › | |
| წითელი ფარანი, თარგმანი. . | › | 15 |
| ზაფხული, ჯულელის რედაქციით. | › | 2 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა . . . . . . . . . | › | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჯულელისა | › | 5 |
| არსენას ლექსი . . . . . | › | 5 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგმანი. . . . . . . . . | › | 15 |
| ქართული ანდაზები. . . . | › | 10 |
| თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა . . . . . . . . . | › | 4 |
| ირაკლი მეორის გლოვა . . | › | 5 |
| ალი, ნ. ლომოურისა . . , . | › | 30 |
| დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა. . . . . | › | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა . | › | 40 |
| სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა . . . . . . . . | › | 5 |
| მოძღვარი, ალ. ყაზბეგისა . . | 1 | › |
| თხზულებანი, მისივე ნაწ. I. . | › | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა . . . . . . . | › | 30 |

ახლად შეძენილია და ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, სარაჯოვის სახლში (Дворцовая ул., домъ Сараджева) შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დედა-ენა, ი. გოგებაშვილისა . | „ | 30 |
| ბუნების კარი, მისივე . . . | „ | 75 |
| კოკორი, მისივე . . . . . | „ | 10 |
| კონა, მისივე . . . . . . | „ | 50 |
| ხომლი, მისივე . . . . . . | „ | 30 |
| კუნწულა, მისივე . . . . . | „ | 40 |
| დედანი, მისივე . . . . . . | „ | 30 |
| შალვას თავ-გარდასავალი, გად. ცახელისა. . . . . . | „ | 20 |
| ლექსნი ალ. ჭავჭავაძისა. . . | „ | 30 |
| თხზულებანი ანტონოვისა . . | 1 | „ |
| მეფე ლირი, შექსპირისა, ნათარგ. ი. მაჩაბლისა და ი. ჭავჭავაძისა . . . . . . . . . | „ | 60 |
| სამ-გვარი სიყვარული, აკაკისა . | „ | 30 |
| ვახუშტის ისტორია, დ. ბაქრაძის რედაქციით . . . . | 3 | „ |
| მშური სიტყვა . . . . . | „ | 20 |
| ნაკვესი . . . . . . . . . | „ | 20 |

Дов. цен. Тиф. 14 октября. 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე